პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 232 (13048) | შაბათი, 3 ოქტომბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

სამაგალითოდ შრომობენ წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულნი თბილისის მეტროპოლიტენის მარჯანიშვილის სადგურის მოწინავე მშენებლები — კომპლექსური ბრიგადის წევრები.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ): გ. ობოლაძე, ა. მელნიკოვი, პ. შკინინი, ა. ულანოვი, რ. ჯალაღანია და მჭედლიშვილი, რომლებიც დღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ.

ფოტო ს. კილაძისა.

ძირითადი მიმართულებანი სახალხო მეურნეობის განვითარების უახლოესი პერიოდის გეგმის შემუშავებაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა მოკავშირე რესპუბლიკების კპარტიული, საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელების, საგეგმო და სამეურნეო მუშაკების მონაწილეობით

ამას წინათ კრემლში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პირველმა მდივნებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების თავმჯდომარეებმა, პარტიის საოლქო კომიტეტებისა და სამხარეო კომიტეტების მდივნებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოების თავმჯდომარეებმა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სსრ კავშირის სახმშენის, საკავშირო პროფსაბჭოს, სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელმა მუშაკებმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. ა. ა. გორეგლიადმა. მან სხდომას მოახსენა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დავალების შესაბამისად სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭო, სსრ კავშირის სახმშენი, სსრ კავშირის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სახელმწიფო კომიტეტები, სამინისტროები და უწყებები, ეკონომიური რაიონების სახალხო მეურნეობის საბჭოები შეუდგნენ სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის შემუშავებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც სხდომაზე გამოვიდა, წამოაყენა მთელი რიგი დებულებანი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დაგეგმვის მთავარი მიმართულებებისა და ამოცანების შესახებ უახლოესი პერიოდისათვის.

გამოსვლაში მან დაახასიათა შვიდწლიანი გეგმის და მიმდინარე წლის საგეგმო დავალებათა შესრულების მდგომარეობა მრეწველობას, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის დარგში. ჩვენი გეგმები წარმატებით სრულდება. შვიდწლეულის განვლილ ხუთ წელიწადში მრეწველობამ გეგმის გადამეტებით დაამზადა 37 მილიარდი მანეთის პროდუქცია. სრულდება მიმდინარე წლის გეგმა. წელს მოყვანილია მარცვლეული კულტურების, ბაჭრის ჯარხლის, ზეთოვანი კულტურების, ბამბის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების კარგი მოსავალი. უკვე ახლა სახელმწიფომ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისაგან შეისყიდა მეტი მარცვალი, ვიდრე რომელიმე სხვა წელს წარსულში. პური შესყიდვა გრძელდება.

იმასთან დაკავშირებით, რომ 1965 წელს მთავრდება შვიდწლიანი გეგმის შესრულება, საჭიროა უახლოეს ხანში დამთავრდეს სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის შემუშავება იმ ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც წამოყენებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის შესახებ.

უახლოესი პერიოდის პერსპექტიული გეგმის შედგენის დროს, ხაზი გაუსვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, საჭიროა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ ამ გეგმის მთავარი ამოცანაა ხალხის ცხოვრების დონის კიდევ უფრო ამაღლება. თუ პირველი ხუთწლედების პერიოდში და ომისშემდგომ წლებში ჩვენ ძირითად ყურადღებას ვუთმობდით მძიმე ინდუსტრიის — მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის საფუძვლის განვითარებას, საბჭოთა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, ახლა, როცა გვაქვს მძლავრი ინდუსტრია, როცა ჩვენი ქვეყნის თავდაცვა ჯეროვან დონეზეა, პარტია სახავს იმ დარგების უფრო სწრაფი განვითარების ამოცანას, რომლებიც მოხმარების საგნებს აწარმოებენ.

ჩვენ ახლა გვაქვს მძლავრი მეტალურგია, თანამედროვე განვითარებული მანქანათმშენებლობა, დიდად განვითარებული ენერგეტიკა, სათბობის და მძიმე მრეწველობის სხვა დარგები. კომუნისტური მშენებლობის ამ ეტაპზე ჩვენი ამოცანა ის არის, რომ კიდევ უფრო განვითაროთ წარმოების საშუალებათა წარმოება მოხმარების საშუალებათა უფრო ფართო წარმოებისათვის.

უნდა დავეყრდნოთ იმას, რაც უკვე მიღწეულია, კვლავაც სწრაფი ტემპით განვავითაროთ წარმოების საშუალებათა წარმოება სოციალისტური კვლავწარმოების გაფართოებისათვის და გეგმის შედგენის დროს გავითვალისწინოთ მოხმარების საშუალებათა წარმოების განვითარების დაჩქარება და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება. რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის თავდაცვაც მუდამ ჯეროვან დონეზე უნდა იყოს, რადგან გამრიცხული არ არის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ავანტიურები ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წინააღმდეგ.

დიდი ოქტომბრის რევოლუცია იყო მშრომელი ხალხის რევოლუცია, რევოლუცია ხალხისათვის. ხალხის რევოლუცია კი მარტო ერთი პოლიტიკური წყობილების შეცვლა როდია სხვა წყობილებით. სოციალისტური რევოლუცია არის ექსპლოატატორული კაპიტალისტური წყობილების შეცვლა ისეთი წყობილებით, რომელიც უზრუნველყოფს ახალი, თავისუფალი, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანის განუწყვეტელ მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

ახლა ჩვენი ქვეყანა განვითარების ისეთ ეტაპზეა, როცა ადამიანის მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება პირველ ადგილზე უნდა წამოვწიოთ ჩვენი ეკონომიკის განვითარების პერსპექტიული გეგმის შემუშავების დროს.

ამ მიზნით საჭიროა ყოველი ღონისძიებით დავაჩქაროთ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარდის ტემპი მისი ინტენსიფიკაციის გზით. მნიშვნელოვნად გავადიდოთ სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის რესურსების გაფართოებისა და უაღრესად რაციონალური გამოყენების გზით, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეთა გადიდებისა და იმ გზით, რომ სულ უფრო ავამაღლოთ მძიმე მრეწველობის საწარმოთა როლი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებაში.

პერსპექტიულ გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალი პროგრესული დარგებისა და საწარმოთა დაჩქარებულ განვითარებას. აქ პირველ პლანზე დგება დიდი ქიმიის განვითარების, სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის, ქიმიური მანქანათმშენებლობის, ელექტრონიკის, ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა განვითარების, შერქნის, ქიმიური გადამუშავების, სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის სტრუქტურის შემდგომი სრულყოფის, აგრეთვე ახალი ნაწარმისა და მასალების გამოშვების გადიდებისა და გამოყენების ამოცანები.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ პერსპექტიული გეგმის შემუშავების დროს საჭიროა გავითვალისწინოთ როგორც საბჭოთა, ისე საზღვარგარეთის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვა წარმოების ყველა დარგში, ახალი ტექნოლოგიური პროცესების, თანამედროვე მანქანებისა და მექანიზმების დაჩქარებული დანერგვა, წარმოების ტექნიკური და ორგანიზაციული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება, რათა შეკანონებულ პარტიის საპროგრამო მოთხოვნები ისის შესახებ, რომ ორგანულად შეთავსოთ მეცნიერება და წარმოება და მიგაღწიოთ მნიშვნელოვან უპირატესობას ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, შრომის ნაყოფიერების მხრივ.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა გეგმებში გავითვალისწინოთ ჩვენი სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების უახლეს მიღწევათა უფრო სრულად გამოყენება, აგრეთვე გამოვიყენოთ სხვა ქვეყნების მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები.

ჩვენ ახლა ვახორციელებთ ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის დიდ პროგრამას. მნიშვნელოვნად განვითარდება მინერალური სასუქებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების, სინთეზური ბოჭკოს, პლასტმასებისა და სხვა ქიმიური პროდუქციის წარმოება. ამავე დროს უდიდესი სახსრები ხმარდება სახალხო მეურნეობის სხვა პროგრესული დარგების განვითარებას. ამიტომ მეტად საჭიროა, რომ სწორად გამოვიყენოთ კაპიტალური დაბანდება, არ დავუშვათ შეცდომები, რათა საწარმოები, რომლებიც ახლა შენდება, შეესაბამებოდეს თანამედროვე ტექნიკურ დონეს და წარმოების ტექნოლოგიისა და გამოყენებული მოწყობილობის მიხედვით შეესაბამებოდეს მსოფლიოს საუკეთესო ნიმუშებს.

ქარხნები, რომლებიც ახლა შენდება, — ამბობს ნიკიტა სერგეის ძე, — მრავალ წელს იმუშავებენ. და თუ ისინი არ შეესაბამებიან მოწინავე საწარმოთა ტექნიკურ და მეცნიერულ დონეს, ეს განაპირობებს მათს მუშაობას ჩამორჩენილი ტექნოლოგიით, რაც შემდგომში ძვირად დაგვიჯდება.

ასეთი მოთხოვნები უნდა წავუყენოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგს: მეტალურგიას, მანქანათმშენებლობასა და ხელსაწყოთმშენებლობას, ენერგეტიკას, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებას, მშენებლობას.

საგეგმო ორგანოების, კომიტეტების, სამინისტროების წინაშე დასახულია ამოცანა შეიმუშაონ მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების ტექნიკური დონის ამაღლების კონკრეტული გეგმები, რათა ჩვენი საწარმოები ყველაზე მაღალ დონეზე იდგეს მსოფლიოში. მეცნიერებისა და ტექნიკის დანერგვის ეს კონკრეტული გეგმები სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.

სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების, კონსტრუქტორთა და ინჟინერთა კადრების ამოცანაა გამონახონ მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვის ყველაზე მიზანშეწონილი გზები. და აქ არ შეიძლება შევუშიგდეთ ავტარკიის მოვლენებს. ავტარკია საზიანოა ეკონომიკაში, იგი განსაკუთრებით დამღუპველია მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მით უფრო წარმატებით განვითარდება, რაც უფრო უკეთ მოეწყობა მსოფლიო მეცნიერებისა და პრაქტიკის უახლეს მიღწევათა შესწავლა და დანერგვა. ვერც ერთი, თუნდაც ყველაზე განვითარებული ქვეყანა, ვერ განვითარდება სწრაფად, თუ უნარიანად არ გამოიყენებს მეცნიერულ-ტექნიკური აზროვნების მსოფლიო მიღწევებს.

ჩვენი სამეცნიერო-საკვლევი, საკონსტრუქტორო ორგანიზაციები არ უნდა იკეტებოდნენ საკუთარ ნაგუაში, არ იგონებდნენ უკვე გამოგონებულს, არამედ ფართოდ იყენებდნენ როგორც საკუთარ, ისე საზღვარგარეთის მეცნიერულ მიღწევებსა და მოწინავე საწარმოო გამოცდილებას.

საქმის ინტერესებისათვის საჭიროა სისტემატურად შევისწავლოთ ამა თუ იმ წარმოების განვითარების დონე ჩვენში და საზღვარგარეთ, დროზე განვახორციელოთ ღონისძიებანი იმისათვის, რომ უზრუნველყოთ წარმოების განვითარება მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ დონეზე.

ნ. ს. ხრუშჩოვმა გადაუდებელ მოთხოვნად წამოაყენა ის, რომ პერსპექტიულ გეგმაში გავითვალისწინოთ კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ დავალების ხარისხის ძირეულ გაუმჯობესებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რათა საბჭოთა ნაწარმი არ ჩამოუვარდებოდეს საუკეთესო მსოფლიო სტანდარტებს.

თანამედროვე პირობებში ნაკეთობათა, მანქანებისა და მოწყობილობის ხარისხის, საიმედოობის, ხანგამძლეობის გადიდების, მოპირკეთების, გარეგნობის საკითხები პრაქტიკულად გამოშვებული ნაწარმის რაოდენობის საკითხიც არის, შრომის, მატერიალური ხარჯებისა და სახსრების უფრო ეონომიურად გამოყენების საკითხიც არის. მაგალითად, თუ ვუშვებთ ძრავას, რომლის მუშაობის რესურსია 500 საათი, ხოლო მიცნობიერებისა და ტექნიკის მიღწევები საშუალებას გვაძლევენ შეექმნათ ძრავა, რომლის რესურსია 8 ათასი საათი, მაშასადამე, ამ შემოხვევაში საჭირო იქნება 6-ჯერ ნაკლები ძრავა და თითქმის შესაბამისად შემცირდება საწარმოო ხარჯები.

ან ავიღოთ სხვა მაგალითი. მიმდინარე წელს ჩვენს ქვეყანაში გამოდნობილი იქნება 84 მილიონ ტონაზე მეტი ფოლადი. ჩვენ გადაჭრით უნდა გავაუმჯობესოთ ლითონის ხარისხი, გავაფართოოთ მინიმალურ მოსარგებლიანი ნაგლინის, ზუსტი პროფილისა და სხვა ეკონომიურ სახეობათა ნაგლინის წარმოება, რათა ერთი და იგივე რაოდენობის ლითონისაგან ვაწარმოოთ უფრო მაღალი ხარისხის მეტი მზა ნაწარმი, შევამციროთ მექანიკური დამუშავების შრომის დანახარჯები და ლითონის ბუნებუშელა ნარჩენები. ნ. ს. ხრუშჩოვმა მხარი დაუჭირა იოეფსკის ზუსტ ნამზადთა, ეკონომიური პროფილის ნაგლინის ქარხნის კარგ გამოცდილებას.

საგეგმო დავალებათა შემუშავებისას, — ხაზი გაუსვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — საჭიროა უპირატესობა მივანიჭოთ ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, და არა პროდუქციის გამოშვების მარტოოდენ გადიდებას.

შემდეგ ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი დაწვრილებით შეეხო საგეგმო და სამეურნეო ორგანოების ამოცანებს, რომლებიც ითვალისწინებენ ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას მრეწველობის მთელ რიგ დარგებში. მან ილაპარაკა უფრო სრულყოფილი ტრაქტორების, ავტომობილების, სამშენებლო და საგზაო მანქანების, ჩარხებისა და მოწყობილობის შექმნაზე.

მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხი, გაფართოვდეს მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის, აგრეთვე იმ პროდუქტების ასორტიმენტი, რომლებსაც კვების მრეწველობა უშვებს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დიდი ყურადღება მიაქცია იმას, რომ გეგმის შემუშავების დროს უზრუნველყოფილ იქნეს პარტიის პროგრამაში გათვალისწინებული უმნიშვნელოვანესი დავალება — უმცირესი დანახარჯებით უმეტესი შედეგების მიღწევა საზოგადოების ინტერესებისთვის. ამ მიზნით საჭიროა გავითვალისწინოთ პროდუქციის გამოშვების მაქსიმალური გადიდება მოკმედ საწარმოებში იმ გზით, რომ უკეთ გამოვიყენოთ ძირითადი ფონდები და საწარმოო სიმძლავრეები, აღმოვფხვრათ შრომისა და მასალების დანაკარგები და არამწარმოებლური ხარჯები, სრულყოთ წარმოების ორგანიზაცია, განვავითაროთ უაღრესად ეფექტიანი ფორმების სპეციალიზაცია და კოოპერირება.

კაპიტალური დაბანდების დარგში საჭიროა ყოველი ღონისძიებით გავადიდოთ მისი ეფექტიანობა იმ გზით, რომ მკვეთრად შევამციროთ მშენებლობის ვადები, სრულყოთ საპროექტო სამუშაოები, უფრო სწრაფად ავითვისოთ ახალი საწარმოთა და წარმოებათა სიმძლავრეები, შევამციროთ მშენებლობის ღირებულება და ხვედრითი კაპიტალური დანახარჯი, გავაუმჯობესოთ სამშენებლო სამუშაოთა, განსაკუთრებით მოსაპირკეთებელ სამუშაოთა ხარისხი.

თანამედროვე სამრეწველო მშენებლობა წარმოუდგენელია, თუ კომპლექსურად არ გადავამეტრით მოწყობილობის დაპროექტების, დამზადებისა და მიწოდების, მონტაჟის და გამართვის, ახალ სიმძლავრეთა ამუშაებისა და ათვისების საკითხები. გადაჭრით უნდა აღმოვფხვრათ ძალებისა და სახსრების დაქსაქსვის პრაქტიკა მრავალრიცხოვან სამშენებლო ობიექტებზე, ახალი სიმძლავრეების ათვისების გაჭიანურება. ჩვენ ვეღარ შევუფრიგდებით ისეთ მდგომარეობას, როცა, მაგალითად, ამა თუ იმ საწარმოს აშენებენ 5 წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ ითვისებენ 3-4 წლის განმავლობაში. ამის შედეგად მრავალი წლის მანძილზე ჭიანურდება კაპიტალური მშენებლობისათვის დაბანდებული სახსრების ანაზღაურება, და საბჭოთა ქვეყანა ვერ იღებს საჭირო პროდუქციას.

ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს სამინაო მშენებლობის ხარისხი, ბინების უკეთ დაგეგმვა, გაუმჯობესდეს მოპირკეთება, გაფართოვდეს სკოლების, საავადმყოფოების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა მშენებლობა ყველაზე რაციონალური ტიპობრივი პროექტებით. მან გამოთქვა აზრი არქიტექტურულ შემკობა-შელამაზებათა და ზედმეტობათა წინააღმდეგ, ხაზი გაუსვა, რომ მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემა შეიძლება გადაეჭრას მხოლოდ იმ პირობით, თუ შეკვეთილ მაღალი კვალიფიკაციის მშენებელთა, განსაკუთრებით მოსაპირკეთებელ სამუშაოთა დარგის მუდმივ კადრებს. იმისათვის, რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილებანი კეთილმოწყობილ ბინებზე, საჭიროა გავაფართოოთ ბინების მშენებლობა მშრომელთა სამინაო-სამშენებლო კოოპერატივების საშუალებით.

იმისათვის, რომ მივაღწიოთ უმეტეს შედეგებს უმცირესი დანახარჯებით, საჭიროა ეფექტიანად გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის ყველა სახეობის მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები, ბუნებრივი სიმდიდრეები. საჭიროა აგრეთვე უზრუნველყოთ საწარმოო ძალების სწორად განლაგება, დიდი ეკონომიური რაიონების მეურნეობის და უაღრესად სრულყოფილი საერაიონთაშორისო ურთიერთობის კომპლექსური განვითარება.

განსაკუთრებული ყურადღების საგანი უნდა იყოს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის ყოველი ღონისძიებით დაჩქარება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, დაგროვების გადიდება სოციალისტური კვლავწარმოების გაფართოებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ახალ პერსპექტიულ გეგმაში უნდა უზრუნველყოთ საგარეო ვაჭრობისა და ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოება საზღვარგარეთის ქვეყნებთან, უწინარეს ყოვლისა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან. უზრუნველყოფილ ეკსპორტისა და იმპორტის სტრუქტურის გაუმჯობესება. ამრიგად, ახალი პერსპექტიული გეგმა მიზნად უნდა ისახავდეს წარმოების ეფექტიანობის ყოველი ღონისძიებით გადიდებას.

სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმის შემუშავებისას ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ მისი წარმატებით შესრულება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ მშვიდობის პირობებში. ჩვენი ხალხი, მთელი მსოფლიოს მშრომელები იბრძვიან მშვიდობისათვის, მსოფლიო თერმოატომური ომის გაჩაღების წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების კიდევ უფრო გადიდება იმ მიზნით, რომ განმტკიცდეს მშვიდობა მთელ მსოფლიოში, ჩვენი მუდმივი საზრუნავია.

შემდეგ ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი შეეხო პერსპექტიული გეგმის ყველაზე ოპტიმალური პერიოდის საკითხს. ნ. ს. ხრუშჩოვმა გააანალიზა ჩვენი სამეურნეო მშენებლობის გამოცდილება და აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ახლანდელი მასშტაბის პირობებში მეტად ეფექტიანია სახალხო მეურნეობის განვითარების დაგეგმვა უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის, ეს საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად გამოვიყენოთ წარმოების რეზერვები, უკეთ დავნერგოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. უზრუნველყოთ პროგრესული დარგებისა და წარმოებების უპირატესი განვითარება, თითოეული საწარმო ხელადგდეს თავისი მუშაობის პერსპექტივას.

ხაზგასმით გაამარტივეს თავიანთი დანიშნულება ღონისძიებებმა, რომლებიც უკანასკნელ წლებში განხორციელდა დაგეგმვის სრულყოფისა და იმისათვის, რომ შეგვეშუშავებინა უფრო ხანგრძლივი ვადების — შვიდწლიანი და ორწლიანი პერსპექტიული და მიმდინარე გეგმები. მიმდინარე შვიდწლიანი გეგმის შესრულების შემდეგ რჩება ბრძოლა წლის პროდუქციის, როცა, როგორც კი გათვალისწინებულია პარტიის პროგრამით, უნდა შეიქმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მიზანშეწონილია, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი პერსპექტიული გეგმა შევიმუშაოთ უფრო ხანგრძლივი ვადით.

ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოთქვა რწმენა, რომ საწარმოთა, მშენებლობათა, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო და საპროექტო ორგანიზაციათა, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროთა და უწყებათა კოლეგიებები სახალხო მეურნეობის განვითარების მიმდინარე შვიდწლიდის შემდგომი პერსპექტიული გეგმის შედგენისათვის მუშაობის დროს გამოავლენენ წარმოების განვითარებისა და სრულყოფის ახალ რეზერვებს ამ ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანაა, ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, უზრუნველყონ მიმდინარე წლის გეგმისა და მთელი შვიდწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება. ეს ეკონომიკის განვითარების მტკიცე საფუძველი იქნება შემდგომ საგეგმო პერიოდში.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს მოახდინოს საჭირო განაწარიშება და მოახსენოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი პერსპექტიული გეგმის ყველაზე ოპტიმალური პერიოდისა და ძირითად მიმართულებათა შესახებ.

ნ. ს. ხრუშჩოვი

ყირიმელ მეფრინველეებთან

სიმფეროპოლი, 2 ოქტომბერი. (საკუთარი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი საბჭოთა მეურნეობა „იუჟნის“ ეწვია. მასთან ერთად აქ იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. პოლიაკოვი, აგრეთვე უკრაინის კომპარტიის ყირიმის სასოფლო საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ი. კ. ლუტაკი, უკრაინის კომპარტიის ყირიმის სამრეწველო საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. პ. სურკანი, ყირიმის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის (სამრეწველო) თავმჯდომარე ბ. ნ. დრუჟინინი.

საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა გ. ა. ხაჩირაშვილმა ნ. ს. ხრუშჩოვსა და სხვა ამხანაგებს გააცნო საწარმოს ტექნოლოგია. დარბაზში, სადაც მოქცეულ დელეგის გალიებში უჯლიან, ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა ა. პ. გეტმანმა სტუმრებს უწოვნა საკვების გამანაწილებელი მანქანის, კვერცხის მოსაგროვებელი მანქანისა და სხვა მექანიზმების მუშაობა.

დიდგაბარიტიან საფრინველეში ბრიგადირმა ე. ა. ბიბიკმა უჩვენა ავტომატების მუშაობა, რომლებიც საბჭოთა მეურნეობის ოსტატებმა შექმნეს.

ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ე. შელესტი, ვ. ი. პოლიაკოვი და მათი თანმხლები პირნი ბალთიმორად გადიან ფრინველეებს და წავიდნენ საბჭოთა მეურნეობა „ერასანში“, სადაც ამას წინათ ჩადგა მწყობრში სახორცე წიწილების — ბროილერების გამოსაზრდელი ფაბრიკა. ფაბრიკის საამქროების დათვალიერებისას განმარტებებს იძლეოდნენ საბჭოთა მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი ვ. ნ. ტიუტიუნიკოვი და უკრაინის მეფრინველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ვ. დ. ლუკიანოვი.

ა. ნ. კოსიგინი შეხვდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ვილი შტოფს

2 ოქტომბერს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ნ. კოსიგინისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ვ. შტოფის შეხვედრა, რომლის დროს განაგრძეს საუბარი საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხებზე.

საუბარში, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, მონაწილეობა მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ბ. ლაიშნერმა. (საკუთარი).

საბჭოთა კავშირ-ცეილონის სავაჭრო ურთიერთობის გამო

24 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე სსრ კავშირში იმყოფებოდა ცეილონის სავაჭრო დელეგაცია ცეილონის საგარეო და საშინაო ვაჭრობისა და მომარაგების მინისტრის ტ. ბ. ილანგარატნეს მეთაურობით. დელეგაციამ ინახულა მოსკოვისა და ლენინგრადის ზოგიერთი სამრეწველო საწარმო და კულტურული დაწესებულება.

29 სექტემბერს ტ. ბ. ილანგარატნე მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა. მათ შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

სავაჭრო მოლაპარაკება ტ. ბ. ილანგარატნესა და სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრს ტ. ბ. ალექსანდროვს შორის წარმატებით დამთავრდა, ხელი მოაწერეს ახალ შეთანხმებას სსრ კავშირისა და ცეილონის საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ 1965-1967 წლებში.

ახალი შეთანხმებით გათვალისწინებულია სსრ კავშირსა და ცეილონს შორის 1967 წელს საქონლბრუნვის გადიდება ერთიერად საქონლბრუნვის იმ დონესთან შედარებით, რომელიც ნავარაუდევია 1964 წელს.

საბჭოთა კავშირი ცეილონში გაიტანს სხვადასხვა სახეობის მანქანებსა და მოწყობილობას, ნავთობპროდუქტებს, შავი ლითონების ნაგლინს, ქვანახშირს, ცემენტს, ბამბის ქსოვილებს, ზოგიერთ სასუროსათო და სხვა საქონელს.

ცეილონი საბჭოთა კავშირში შემოიტანს ნატურალურ კაუჩუკს, ქოქოსის ზეთს, კოპრასა და ქოქოსის პალმის სხვა პროდუქტებს, სანელებელს, ჩაის, კაკაოს მარცვალს, ფეხსაცმელსა და ცეილონის განვითარებადი მრეწველობის ზოგიერთ სხვა საქონელს.

სსრ კავშირი მხარს უჭერს

კეიპროსელი ხალხის სამართლიან ბრძოლას

საბჭოთა კავშირში 11 სექტემბრიდან იმყოფებოდა კეიპროსის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია. საუბრების დასკვნითს ეტაპში მონაწილეობას იღებდა მოსკოვში ჩამოსული კეიპროსის საგარეო საქმეთა მინისტრი ს. კიპრიანუ.

კეიპროსის მთავრობის დელეგაცია, ნათქვამია ოფიციალურ კომუნიკეში, მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა. დელეგაციამ გადასცა მას კეიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტის მაკარიოსის პირადი წერილი, რომელშიც იგი მადლობას უძღვნის საბჭოთა კავშირს კეიპროსისადმი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის. გაიმართა მეგობრული და გულწრფელი საუბარი, რომლის დროს შეეხნენ საბჭოთა კავშირ-კეიპროსის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, მდგომარეობას ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, აგრეთვე სხვა პრობლემებს, რომლებიც ორივე მხარისათვის საინტერესოა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ უჭერს მხარს კეიპროსის ხალხისა და მთავრობის სამართლიან და მამაცურ ბრძოლას ნატოს ზოგიერთი ქვეყნის აგრესიული მოქმედებისა და

ХИЛДО—ПРОВАТОРს



ცნობილი ლენინგრადელი მღვარავი ი. ლეონოვი სტუმრად ქართველ მეგობრებთან

ბისათვის თავდადებულმა ლტოლვამ ჩვენს ქვეყანაში ხალხთა შორის მეგობრობის ხიდი კიდევ უფრო გაამტკიცა.

სწორედ ამ მეგობრობამ მიიყვანა ორი წლის წინათ ქართველი კოლეგები ჩვენი ქვეყნის ნოვატორთან, ლენინგრადის კროვის სახელობის ქარხნის მღარავთან, რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ივანე დავითის-ძე ლეონოვთან.

იქ, ლენინის კალაქში, პირდაპირ ჩარხთან დაირწმუნეს მეგობრობის აკვანი. რუსმა მღარავმა სიამოვნებით გაუზიარა თავისი გამოცდილება ქართველ მეგობრებს, გააცნო ლეონოვის ღარვის პროგრესული მეთოდი, რამაც ფართოდ გაუთქვა მას სახელი, და თბილისელებს აჩუქა სხვადასხვა კონსტ-



ტრუქციის საკუთარი მარკვენით შექმნილი უფრო ძლიერია, რაც უფრო ხანგაუმჯობესებული საკრისები.

ბევრ მეგობარ და მიმდევარ ჰყავს ლენინგრადელ მღარავს ქუთაისის, ფოთისა და სხვა ლითონდასამუშავებელ საწარმოებში. ისინი შემოქმედებითად ავითვარებენ და შემდგომ სრულყოფენ ამხ. ი. ლეონოვის შრომის პროგრესულ მეთოდს.

.. გუშინ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისაღებ დარბაზში შეიკრიბნენ რესპუბლიკის საბჭოთა, პარტიული და პროფკავშირული ორგანოების წარმომადგენლები, მრეწველობის მოწინავე ადამიანები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოების განყოფილების უფროსმა პ. ცაგარეიშვილმა საზეიმო ვითარებაში გამოაქვეყნა ბრძანებულება საქართველოს სსრ ლითონდამშუშავებელ საწარმოებში ღარვის პროგრესული მეთოდების დანერგვის საქმეში გაწეული დახმარებისა და ლითონების მოწინავე მეთოდებით ღარვის რესპუბლიკური სკოლის ხელმძღვანელობისათვის ი. ლეონოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ძოწენიძემ, ჯილდოს მიღების შემდეგ ივანე დავითის-ძე ლეონოვმა გვიჩოვა შემდეგი შინაარსის ბარათი გამოგვექვეყნებინა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე:

„პატივცემულო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით, გადავცე გზები „კომუნისტის“ მკითხველებს, რესპუბლიკის მშრომელებსა და პროფესიითან ჩემს მეგობრებს კომუნისტური სალამი და მხურვალე მადლობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომელმაც ესოდენ მაღალი შეფასება მისცა ჩემს მცირედს წვლილს თქვენს რესპუბლიკაში ლითონდამშუშავებელ საწარმოებში ღარვის პროგრესული მეთოდის დანერგვის საქმეში.

გუსურვებ მზიური საქართველოს მშრომელებს შრომითის წარმატებებს ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ი. ლეონოვი,

2. X. 64 წ. თბილისი“.

საღამოს კავშირგაბმულობის მუშაკთა კულტურის სახლში მოეწყო თათბირი. იგი მიეძღვნა მოწინავე გამოცდილების შემსწავლელი რესპუბლიკური ქარხანათაშორისო სკოლის **ბ. ლეონოვი** ხელმძღვანელობდა.

თათბირი გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ **შ. დოლიძემ,** რომელმაც მიულოცა ლენინგრადელ ნოვატორს საპატიო ჯილდო და აღნიშნა მოწინავე გამოცდილების სკოლის მუშაობის კარგი შედეგები.

სიტყვით გამოვიდა ი. ლეონოვი, რომელმაც უღრმესი მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულთბილი შეხვედრისათვის და გამოთქვა სურვილი შემდგომშიც გამოცდილებათა ურთიერთგაზიარების მიზნით მოეწყოს მეგობრული შეხვედრები.

ო. არობელიძე.

ეს სურათი ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა გადაიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში მას შემდეგ, რაც ი. ლეონოვს გადაეცა საპატიო სიგელი.

ფოტო **ვლ. გინზბურგისა.**

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

უფრო სრულად გამოვიყენოთ მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის რეზერვები

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ი. მიქელაძის მოხსენება „წინადადებანი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის მაჩვენებელთა დაზუსტების შესახებ“, მოიწონა ეს წინადადებანი და პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს დაავალა აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საგეგმო მუშაობაში 1965 წლის დავალებათა დამტკიცებაში.

საოლქო საბჭოებს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს დაეკალათ 1965 წლის საგეგმო დავალებათა მიღებისთანავე ადგილებზე მოაწყონ მათი ფართო განხილვა მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებებზე (კონფერენციებზე) და საჯაროების შემთხვევაში შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი კოლექტიურ ხელშეკრულებებში.

შრომის ახალი ანაზღაურება

1964 წლის მეოთხე კვარტალში შემოღებულ იქნება შრომის ანაზღაურების ახალი პირობები იმ მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, რომლებიც მუშაობენ განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის, ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ორგანოებსა და საანგარიშო მანქანების სადგურებში.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს, განათლების მუშაკების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების, მედიცინის მუშაკების, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა მუშების, სახელმწიფო ვაჭრობისა და საბინაო-მომსახურებლო კოოპერაციის მუშაკების პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა მუშების ტერიტორიულ კომიტეტს აქტიური მონაწილეობა მიიღონ შრომის ახალ ანაზღაურებაზე გადასვლაში, ხელი შეუწყონ სამინიტროებსა და უწყებებს წინადადებათა შემუშავებაში იმ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა შრომის ანაზღაურების ახალ პირობებზე გადასვლის ვადების შესახებ, რომლებშიც ხელფასის მოწესრიგება განხორციელდება 1965 წელს. (საქდეინ).

საქართველოს ჰიდროენერგომშენის ბრიგადის მორიგი გამარჯვება

საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის სიონის ჰიდროენერგეტიკული კომპლექსის მშენებლებმა, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მორიგ მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწიეს: 30 სექტემბერს, დანიშნულ ვადაზე ადრე დაამუშავეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს სიონის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც უკვე მიღებულია, ჩართულია რესპუბლიკის ენერგეტიკულ სისტემაში და დენს იძლევა.

ეს ჰიდროელექტროსადგური შესანიშნავია იმით, რომ მუშაობს რა სიონის წყალსაცავიდან თბილისის „ზღვაში“ ჩასაშვებად მიღებული წყლის ნაკადით, გვაძლევს რესპუბლიკაში მომუშავე ყველა ჰიდროელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულებაზე საგრძნობლად ნაკლები თვითღირებულების, იაფ ელექტროენერგიას, ხოლო „გადამუშავებული“ ნაკადი კვლავ უერთდება წყალსაცავიდან სამგორის სივრცეების მოსარწყავად გაშვებულ წყალს.

დანიშნული ვადისათვის მშენებლობის დამთავრებაში თავი გამოიჩინეს სიონმშენის ხელმძღვანელებმა სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა გ. მაევსკიმ, მთავარმა ინჟინერმა ლ. თავართქილაძემ, ჰიდროელსადგურის მშენებლობის უფროსმა ო. ჭინჭარაულმა, ელექტროსამონტაჟო სამუშაოთა სამმართველოს უფროსმა ნ. ბელიაშვილმა, სამუშაოთა მწარმოებლებმა ა. საიდინოვმა, ბ. კვირიკაძემ, ვ. ტრიანდაფილოვმა, ღია ქვესადგურის მშენებელმა ინჟინერმა ნ. კაჭარავამ, ტურბინგენერატორების მემონტაჟეებმა ვ. პრიანიკოვმა, კ. გონჩარენკომ და სხვ. ისინი სუსხსა და ყინვაში, რთულ რელიეფურ პირობებში ენერგიის დაუზოგავად მუშაობდნენ ახალი ელექტროსადგურის მწყობრში ჩასაყენებლად... მთებში შუქი ჩადგა, მშენებელთა გულში სიხარული!

ᲕᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე

საგუნდისკომო კონტრასტები

მაღაროელთა კლუბი კომუნისტების ძლიერს იტვლდა. საანგარიშო-საარჩევნო კრება დანიშნულ დროზე დაიწყო. მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა ახალი ითხვისის მაღაროს პარტიული ბიუროს მდივანს ბ. ცუხიშვილს. იგი ტრიბუნაზე სასეგაბრწყინებული ავიდა.

— მოხსენების დაწყებამდე, — მიმართა მან კომუნისტებს, — უნდა გაცნობოთ სასიხარულო ამბავი: ახალი ითხვისის მაღაროს კოლექტივმა ვადამდე შეასრულა სასაქონლო მარგანეცის დამზადების ცხრა თვის დავალება. დამზადებულია ათასობით ტონა ზეგანგმოთი მადანი, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით დაზოგილია 40 ათას მანეთზე მეტი. ორატორის ამ სიტყვებს დამაწერეები გუთბილად შეხვდნენ.

მომხსენებელი დაწვრილებით ლაპარაკობს პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ახალ ფორმებზე, რომლებმაც განაპირობეს მიღწევები. მაგრამ ამასთანავე მოხსენებაში მოცემული იყო პირუთვნელი კრიტიკა იმ ნაკლოვანებებისა, რომლებიც ხელს უშლიან მაღაროს მეტი წარმატებებიდ მოპოვებაში. ბევრი ითქვა გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედებაზე, ახალი ადამიანის აღზრდისათვის მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე, წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაზე.

მოწვნილვე მაღაროს კოლექტივისათვის უეჭველად სამარცხვინოა, რომ ვერც ერთი მიწისქვეშა საწარმოო უბანი დავალებას ვერ ასრულებს, უყაირათოდ მუშაობს. ისინი ეფარებიან საგრთო მაჩვენებლებს, რაც მოპოვებულია ღია საბუშაოთა კარიერისა და მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის მშრომელთა მიერ.

ბევრი მაღაროელი და მათ შორის კომუნისტები შრომისადმი ნამდვილად კომუნისტურ დამოკიდებულებას იჩენენ. მაღაროს შუქურეში არიან კომუნისტური შრომის ბრიგადები, რომლებსაც კომუნისტები გ. ბაქრაძე, უ. კაპანაძე, მ. გაგნიძე, ი. ბერიჩიჩაძე ხელმძღვანელობენ. თუმცა უნდა დავძინოთ, რომ ასეთი ბრიგადების რიგები ერთობ ნელა იზრდება. მაღაროში ვხვდებით ისეთ ადამიანებს, რომლებიც არ იჩენენ შრომასა და ცხოვრებაში კომუნისტურ ჩვენებს, მოქცეულნი არიან წარსულის მავნე გადმონაშთების ტყვეობაში. მათ შორის არიან კომუნისტები და კომკავშირელები.

კომუნისტმა ა. კიბაროიძემ აშკარად სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა, მიატოვა ცოლშვილი, დაუკავშირდა ვიღაც ცუდი ყოფაქცევის ქალს და გაურკვეველი. მიმართულებით წავიდა. მის შესახებ ოჯახმა და პარტიულმა ორგანიზაციამ დღემდე არაფერი იციან. კომკავშირელმა თ. კირკიტაძემ საერთო საცხოვრებელში იკურდა, რიათვისაც თავიისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მაღაროს კოლექტივისა და მისი კომუნისტებისათვის სერიოზული ლაქაა, რომ 35 ცალიდან რვა თვის დავალება ძნოლოდ რვა ცალამ შეასრულა, ნაკლური ვალდებულება არ გაუნაღდებია 166 კაცს, ყოველად გაუმართლებელია კომუნისტების ლ. ჭიღლაძის, ვ. სამბარაძის, რ. კილაძის, ი. სადღობელაშვილის, გ. ჩაფიჩაძის საქციელი. ისინი არღვევენ შრომის დისციპლინას, უგულებელყოფენ კომუნისტის საწესდებო მოთხოვნებს.

კრებამ სამართლიანად დააყენა კითხვა: რით უნდა ივარსლონ თავი მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეათე საწარმოო უბნების კომუნისტებმა, ათიულ ათასობით მანეთი რომ გადახარჯეს და კვლავ უყაირათო მუშაობას განაგრძობენ. ანდა რას იტყვიან მეექვსე და მეშვიდე უბნების ხელმძღვანელები ა. შეყლაშვილი და ნ. სიგუა, როცა პირველმა 1.016 ტონა არასტანდარტული მადანი გამოუშვა, ხოლო მეორემ 995 ტონა და ამით შეაფარხეს საპაერო-საბაგირო გზისა და გამამდიდრებელი ფაბრიკის მუშაობა?

ბევრი მაღაროელი საუცხოოდ დაეუფლა და უვლის მექანიზმებს, ანალ ტექნიკას, მაგრამ ზოგი დაუდეგრად უპასუხისმგებლოდ მუშაობს. ელმავლის მემანქანეებმა ბედინაშვილმა და ჭიღლაძემ მწყობრიდან გამოიყვანეს ელმავალი, ხოლო ელექტროტორის მემანქანეების ღვთაძისა და შარვაძის გულგრილობა-უპასუხისმგებლობით დაზიანდა ელექტროტორი.

ზოგიერთი კომუნისტის ჩამორჩენილობასა და მათ მიერ საწესდებო მოთხოვნების შესრულებაში უპასუხისმგებლობაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტებიც: პ. ქემაძე, ჰ. ქემარტელიძე, ი. იაკობიძე, ლ. ჭიღლაძე, ა. შარიქაძე პარტიულ კრებებს არ ეესწრებიან, ს. აბჟანდაძე, გ. კუპატაძე, ჯ. ცაბაძე, კ. საცერაძე პარტიულ დავალებებს არ ასრულებენ, ლ. ჭიღლაძე, ლ. შუბითიძე, თ. კვაშილავა არ იმაღლებენ ბორიშორკს, ი. ლაბუჩიძე, ნ. სკობორობოვი, უ. რაზმაძე და სხვები სისტემატურად აგვიანებენ პარტიული საწევრო შესატანის გადახდას. აი ვის წინააღმდეგ იქნა მიმართული კრიტიკის მთელი ცეცხლი.

ორატორები: ელექტროზეინალი ბ. გეგელია, ნ. კაკაბაძე, ერ. ხარშილაძე, ბრიგადირი ვ. ბაქრაძე, მაღაროს დირექტორი ი. ბაირამაშვილი საგზებით სწორად აღნიშნავდნენ, რომ ახალი ადამიანის აღზრდა ერთ-ერთი მთავარია იმ ამოცანებიდან, რომელსაც ჩვენი ხალხი წყვეტს ახლა — კომუნიზმის გამლილი მშენებლობის პერიოდში. ამტომ მთა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან, მაღაროს ადმინისტრაციისაგან მოთხოვეს, რომ მუდმივად, დიდი გულისხმიერებით იმუშაონ ადამიანებთან, იბრძოლონ მათი კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის, განუხრელად იზრუნონ შრომმოყვარე საყოფაცხოვრებო საჭიროებებისა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

ეს ხელს შეუწყობს მაღაროს კოლექტივს იმაში, რომ ამოაფხვრა წარმატებები და ახალი წვლილი შეიტანოს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

პ. ჭიოკაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

პროპაგანდისტთა კურსები

გორი. ამ დღეებში აქ მუშაობა დაამთავრა პროპაგანდისტთა გადასამზადებელი კურსების პირველმა ნაკადმა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბ-დლიანი კურსები გაიარა გორის, ბორჯომის, ახალციხის, ხაშურის, კასპის რაიონების 94 პროპაგანდისტმა. მათ მოისმინეს თეორიული და მეთოდური ლექციები, გაიმართა აგრეთვე პრაქტიკული მეცადინეობა თემაზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის როლის ზრდა კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში“. დამსწრეთ მუშაობის თვიანთი გამოცდილება გაუზიარეს პროპაგანდისტებმა გ. ჩიტაიამ, ვ. ჯალალანიამ, გ. გიგაშვილმა, ლ. ძნელაძემ და სხვებმა.

პროპაგანდისტებისათვის მოეწყო ექსკურსიები.

რ. სამადაშვილი,

პარტიის გორის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტის ბიბლიოთეკარი.

ათეისტური პროპაგანდა სოფლად

ახალციხის რაიონში ფართოდ გაშლილია მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდა. წელს რაიონის მშრომელებისათვის მოეწყო მრავალი ლექცია-მოხსენება, თეორიული კონფერენციები, თემატური და კითხვა-პასუხის საღამოები, ზეპირი ჟურნალები.

მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდაში ფართოდ არიან ჩაბმული მედიცინის მუშაკები, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლები. ათეისტური პროპაგანდის მუშაკთათვის ამ დღეებში გაიმართა თათბირი.

უახლოეს დღეებში რაიონის სოფლებში წაკითხულ იქნება ლექციები თემებზე: „მეცნიერება რელიგიის წინააღმდეგ“, „ქმნილი და რელიგია“.

ს. მიქუტაძეები.

ახალციხის პარტიული კომიტეტის ideologიური განყოფილების ინსტრუქტორი.

შეხვედრა შრომის ვეტერანებთან

უფრლი თაობის სახელოვან ტრადიციებზე მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდას უკანასკნელ ხანს ტყიბულში მეტი ყურადღება ექცევა.

ამას წინათ ტყიბულელმა მოსწავლეებმა და პიონერებმა შეხვედრა მოუწყეს ძველ ბოლშევიკებს, შრომის ვეტერანებს ა. ქასარაშვილს, ს. ქათამაძეს და კ. სოფრომაძეს. მათ პიონერებს უამბეს ტყიბულის ქვანახშირის საბადოს განვითარებისა და მეშახტეთა რევოლუციური წარსულის შესახებ.

ნ. ვახტანგაძე.

ტყიბულის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი.

>

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲙᲠᲔᲤᲕᲔᲜ?!

მეჩაიეებო! რა გააკეთეთ დღეს იმისათვის, რომ ვალდებულება პირნათლად შესრულდეს

ᲕᲘᲜᲪ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ

△ **კოლმეურნეობის** მთელი კოლექტივის თავდადებული შრომის შედეგად მივაღწიეთ აფხაზეთში ყველაზე მაღალ საშუალო მოსავლიანობას ჰექტარზე. ეს-ეს მოკრეფილი გვაქვს 1.850 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც ჰექტარზე 5.450 კილოგრამს უდრის. გადაბარებებით შევაბარეთ წლიური გეგმა.

ქობულეთელ მეჩაიეთა მოწოდების საპასუხოდ ვალდებულებას ვკისრულობთ გეგმის ზევით მოკრეფოთ ასი ტონა „მწვანე ოქრო“. ამჟამად ყოველდღიურად ვკრეფთ 15-16 ტონა ფოთოლს და ვფიქრობთ პირნათლად გავუსრულდეთ ნაკისრი ვალდებულება.

ვ. ლაკოია,

გუდაუთის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობა „დურიფშის“ თავმჯდომარე.

△ **ინგირის** საცდელ ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ფაბრიკის კოლექტივმა ამას წინათ გაანალიზა ნაკისრი ვალდებულებანი. სახელმწიფოს გეგმის ზევით 200 ტონის მაგიერ მიაყიდა 206 ტონა ჩაის ფოთოლი.

სეზონის დაწყებიდან მოდებული 2.306 ტონა ნედლეული, აქედან ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველოთი“ 1.159 ტონის ნაცვლად მოკრეფილია 1.570 ტონა ფოთოლი.

ლაშქრობა ჩაის ფოთლზე კვლავ მაღალი ტემპით მიმდინარეობს. ინტეგრელები ზეგალდებულების ანგარიშში 200 ტონამდე „მწვანე ოქრის“ მიაყიდიან სახელმწიფოს.

ვ. ცოფაია,

სოფელი **ზუგდიდი.**

△ **მელექედურელმა** მეჩაიეებმა უკვე მოკრიფეს 1.033 ტონა ჩაის ფოთოლი, 1 ტონით მეტი, რასაც წლიური დავალება ითვალისწინებდა.

ახლა ვალდებულების ანგარიშში მიმდინარეობს ფოთლის კრეფა. გადავწყვიტეთ წლიური გეგმის ზევით მოვკრიფოთ 120 ტონა ფოთოლი.

შ. ბაგბილოძე,

ბახარაძის საწარმოო სამმართველოს სოფელ მელექედურის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

△ **რგოლის** წევრებმა 3 ჰექტარ პლანტაციაზე წლიური ვალდებულებით გათვალისწინებული 21 ტონის ნაცვლად მოკრიფეს 23 ტონა ჩაის ნედლეული.

პირადად მე ვალდებულებით 4.871 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოვკრიფე. წლიური დავალება 2.500 კილოგრამს ითვალისწინებდა. რგოლის წევრები კვლავ გაგრძელებენ ფოთლის კრეფას.

დ. ციბეხავაძე,

წულუკიძის საწარმოო სამმართველოს წულუკიძის სახლობის კოლმეურნეობის მერგოლური.

△ **სოფელ** საკამაოსერის კოლმეურნეობას ვალდებულებით უნდა მოეკრიფა 54 ტონა ჩაის ფოთოლი. ფაქტიურად უკვე მოკრიფა 55 ტონა.

მეჩაიეები ნ. კიკნაძე, ზ. ღარდალაძე, ნ. ხუნდაძე, დ. ჭკუასელი, ფ. კვინტრაძე, ნ. ჭკუასელი და სხვები ფოთოლს ვალდებულების გადამეტებით კრეფენ.

ვ. კვინტრაძე,

ჩოხატაურის რაიონის სოფელ საკამაოსერის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ᲔᲠᲚᲝᲤᲘ

ᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ უკანასკნელ დღეებში ხმაური ატყდა იმის გამო, რომ საკრეფი ჩაის ფოთოლი თითქოს არ არის, სეზონი დამთავრდა. ეს რომ ასე იყოს, მეტად სამწუხარო იქნებოდა ჩვენი სახელოვანი მეჩაიეებისათვის.

მაშ რაშია საქმე? როგორია ფაქტები ლანჩხუთის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებში? ბუნებამ ზაფხულში ნალექები არ აღირსა პლანტაციებს. აგვისტოში ნიადაგი გამოშრა, ოფლის სამუშაოებიც არ ჰქონდათ ლანჩხუთელებს, და ბუნჯებმა ვეგეტაცია შეწყვიტეს. ივნისში რაიონში მოკრეფა 3.217 ტონა ჩაის ფოთოლი, ივლისში — 1.874 ტონა. აგვისტოში მოსავლიანობა მკვეთრად შემცირდა, მოკრეფა 1.532 ტონა.

სექტემბერში კი ცამ პირი გაახსნა და თითქმის ყოველდღიურად მოდიოდა წვიმა. ამან ერთგვარად შეაფერხა კრეფა. ლანჩხუთელებმა ხელი ჩაიბეჭეს და სექტემბერში მხოლოდ 1.278 ტონა „მწვანე ოქრო“ მოკრიფეს, მაგრამ ნაწილების შედეგად სექტემბრის ბოლო დღეებში ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია ისე დაიწყო, როგორც ზაფხულში იცის ხოლმე. ამან იმედი და რწმენა განუმტკიცა ლანჩხუთელებს, რომ საშობლოს წირაზე ვალში არ დარჩებიან.

სასიხარულოა, რომ საკრეფი ჩაის ფოთოლი არის. მაგრამ კრეფის დაყოვნება დიდ ზიანს მოიტანს. ოქტომბერში ზაფხულს დღეებს როდი უნდა მოველოდეთ. ამიტომ ახლა მეჩაიეებისათვის თვითეული საათი მუტად ძვირფასია. მთელი შესაძლებლობა სრულად უნდა გამოვიყენოთ. მართალია, ლანჩხუთის საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა და სამმართველომ სეროიზული ღონისძიებები განახორციელეს ჩაის ფოთლის კრეფის დაჩქარებისათვის, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — დღემდე აღებული ტემპი წარმატებას ვერ უზრუნველყოფს.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჩაის ფოთოლი უხვად არის, კრეფას კი აგვიანებენ. სწორედ ამის შედეგია, რომ 31 კოლმეურნეობიდან წლიური გეგმა შესრულებული აქვს 11 კოლმეურნეობას. **მამათის, აცანის, ზემო აკეთის, ქვემო აკეთის, ლესის** კოლმეურნეობებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ რაიონის გეგმის შესრულებაში.

რატომ ჩამორჩნენ ეს კოლმეურნეობები? იქნებ საკრეფი ფოთოლი არა აქვთ? ამ კითხვებმა დაგვაინტერესა და

ᲛᲔᲠᲚᲝᲤᲘ

ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ვეწვიეთ ამ სოფლებს. დავთვალიერეთ პლანტაციები. საკრეფი ფოთოლი ყველგან აროა. მაგრამ ყოველგვარ ამიდიდში არ ოკრიფება. ეს ეროა ლანჩხუთელთა წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი. შემოწმების დღეს, 30 სექტემბერს, ფოლიო წვიმდა, მაგრამ მალე კი მოიმიდარა. კოლმეურნეობების პლანტაციებში მასობრივად კრეფა დღის მეორე ნახევარში დაიწყეს.

ზემო აკეთში, მართალია, წვიმამაინც კრეფენ ჩაის ფოთოლს, მაგრამ სამუშაოზე მკრეფავთა ნახევარიც არ გამოდგის. ამის შედეგად კოლმეურნეობას 427 ტონიდან მოკრეფილი აქვს 410 ტონამდე. ისიც ფაქტია, რომ ბრიგადებში შრომა არ აროს ორგანიზებული. სწორედ ამით აიხსნება, რომ ხუთი ბრიგადიდან მხოლოდ ერთმა, პირველმა ბრიგადამ შეასრულა კრეფის წლიური გეგმა. ბრიგადირებმა **რ. ფიფაიშვილმა, გ. კუკულაძემ, ვ. ფიფაიშვილმა, ზ. კუკულაძემ** თვითდამკვიდრდა გამოიჩინეს და სამაოცხვინოდ ჩამორჩნენ. თუ კი წვიმაში მუშაობდნენ **ვ. ოთხაძე, ე. კუკულაძე, ე. ქანთარია,** სხვები სად იყვნენ?

ასე იყარგება ტონობით ჩაის ფოთოლი.

კრეფა კარგად აროს ორგანიზებული ქვემო აკეთის კოლმეურნეობაში, რომლის თავმჯდომარეა **ბ. ლლონტი.** თუ აგვისტოში აქ 52 ტონა ჩაის ნედლეული მოკრიფეს, სექტემბერში მოკრეფილია 78 ტონამდე. თავმჯდომარე ყოველ დილას რაღაცა აკეთებს ბეჩაიეებს წინადღის შედეგებს, აცხადებს მოწინავეებსა და ჩამორჩენილებს. ესეც თავისებურ გიელას ახლის ბეჩაიეებზე. თავი ისაღელა კომუნისტური შრომის ბრიგადის რგოლმა, რომელსაც **ვ. მორჩილაძე** ხელმძღვანელობს. რგოლმა 36.5 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა საშუალოდ ჰექტარზე. მოსავლიანობამ 6 ტონას გადააჭარბა.

ᲛᲐᲛᲐᲗᲘᲡᲚᲘᲡ მეჩაიეებმა წლიური გეგმით 1.200 ტონამდე ჩაის ფოთოლი უნდა მოკრიფონ. კრეფის დავალება მხოლოდ მეტჯერ ბრიგადამ შეასრულა. სხვა ბრიგადებსაც შეეძლოთ გეგმის შესრულება, მაგრამ ცუდად იმუშავეს, ხელიდან გაუშვეს ხელსაყრელი მომენტი და ახლაც, როცა ჩაის ფოთოლი უხვად არის, მოელ შესაძლებლობას არ იყენებენ ჩამორჩენის დასაძლეველად.

მსგავსი მდგომარეობაა სოფელ **აცანის** კოლმეურნეობაში. აცანელებს წლიური გეგმით მოსაკრეფი აქვთ 622 ტონა, საკარმიდამოზე — 466 ტონა. წლიური გეგმის შესასრულებლად კიდევ მოსაკრეფი აქვთ 50 ტონაზე მეტი, ამდენივეა მოსაკრეფი საკარმიდამო-პლანტაციებში.

გიხარიათ, როცა ათვალიერებთ სოფელ **ლესის** კოლმეურნეობის პლანტაციებს. ორმოც ჰექტარ ნაკვეთში უხვად არის საკრეფი ფოთოლი. ახლა მეჩაიეთა ლარსებისა და სახელის ხაკმეა არც ერთი კილოგრამ ფოთოლი არ დატოვონ მოუკრეფელი. მოწინავე მეჩაიეს **შ. ბარამიძის** სიბარიულს სახელვარი ასა აქვს. მისი ოჯახი ... ბევრს. — ამბობს და ორივე ხელით სწრაფად კრეფს. 30 სექტემბერს 30 კილოგრამზე მეტი მოკრიფა.

ლანჩხუთელებს ჩაის კრეფაში ასეთი ჩამორჩენა არ ეკნებოდათ, სეზონი ყველა პერიოდში გადამჭრელი ზრდები. რომ მიელო, ხელოვნურის დაბაკარები არ დაეგვალ. სამართლიანობა მოითხოვს მოვეკიმინოთ ლანჩხუთელებსაც, რომლებიც საყვეტურს გამოთვლიდნენ რაიონში ჩაის მოსავლიანობის ზრდის დაგეგმაში დაშვებული შეცდომების გამო. ეს იცოდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროში, მაგრამ შედეგები არა ჩანს.

ლანჩხუთელებს ყელ მოკრეფილი აქვთ 9.642 ტონა ჩაის ფოთოლი ნაცვლად 9.969 ტონისა. ვალდებულება კი 12.000 ტონას ითვალისწინებს. საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 4.300 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ლანჩხუთში არის საკრეფი ჩაის ფოთოლი. ამიტომ მთავარია მთელი ძალების დარაზმვა, რათა დავაჩქაროთ კრეფა. თუ სექტემბრის უკანასკნელ დღეებში რაიონში 15-20 ტონა იკრეფებოდა, ახლა შეიძლება ყოველდღიურად მოიკრიფოს 50-80 ტონა. დრო იწურება.

ნ. ჯანჯღავა,

„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ᲣᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲝ ᲥᲐᲠᲐᲕᲐᲜᲘ

ᲐᲡᲔ ᲛᲘᲓᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘ, ᲐᲡᲔ ᲨᲔᲬᲔᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ. ᲠᲐ ᲓᲐᲐᲛᲐᲕᲐ ᲛᲝᲛᲡᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲛᲐ?

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲝᲛᲨᲔᲜᲘᲡ ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲡᲘᲝᲜᲘᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲝᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲜ ᲐᲛᲐᲒᲔ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲠᲐ ᲡᲐᲛᲠᲔᲜᲝ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡ

მეგობრობა და ურთიერთგაგება

საგჭოთა კავშირ-ინდონეზიის ერთიანი კომუნიკე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვეული 29 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე სსრ კავშირში ვიზიტად იმყოფებოდნენ ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი დოქტორი სუკარნო და მისი თანმხლები პირნი. საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ერთობლივ კომუნიკეში ნათქვამია, რომ პრეზიდენტი შეხვდა და ესაუბრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს. გაიმართა აგრეთვე საუბრები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ა. ი. მიკოიანთან. ეს შეხვედრები და საუბრები გულწრფელი გულითადობის, მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა.

საუბრების დროს აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ინდონეზიის ურთიერთობა. რასაც საფუძველად უდევს თანასწორობისა და ურთიერთსარგებლობის, სუვერენიტეტის პატივცემის პრინციპები, წარმატებით ვითარდება ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ.

ორივე მხარემ ერთმანეთს გაუზიარა აგრეთვე აზრი თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, რამაც ცხადყო, რომ საბჭოთა კავშირსა და ინდონეზიას მეტად მსგავსი პოზიციები უკავიათ თანამედროვეობის ძირითად პრობლემებში. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ახლანდელ პირობებში არ არის უფრო დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ბრძოლა იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობისათვის. მშვიდობის სულ უფრო მზარდი ძალები მოითხოვენ განხორციელდეს ახალი ღონისძიებანი ატომური ომის საფრთხის აღკვეთისათვის.

საბჭოთა მთავრობა მაღალ შეფასებას აძლევს პრეზიდენტ სუკარნოს თვალსაჩინო როლს იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ მშვიდობის მთელი ძალების შეკავშირებაში.

პრეზიდენტმა სუკარნომ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის დაუცხრომელ მეცადინეობას მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისათვის ბრძოლაში. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ არ უნდა გადაიდოს ან დაყოვნდეს განხორციელება ნ. ს. ხრუშჩოვის მოწოდებისა, რომ დიდოს საერთაშორისო შეთანხმება ტერიტორიული დავისა და სასაზღვრო საკითხების მშვიდობიანი გადაჭრის შესახებ.

ერთობლივ კომუნიკეში ხაზგასმულია, რომ აუცილებლად საჭიროა გაუქმდეს უცხოთის სამხედრო ბაზები და გაყვანილ იქნენ უცხოთის შეიარაღებული ძალები სხვათა ტერიტორიიდან. მხარეები გადაჭრით გმობენ კოლონიალიზმსა და ნეოკოლონიალიზმს, მის ყველა ფორმასა და გამოვლინებას.

მხარეები გამოთქვამენ იმედს, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნების მომავალი კონფერენცია, რომელიც შემდეგ წელს გაიმართება, შეძლებს გააერთიანოს ანტიიმპერიალისტური და ანტიკოლონიალისტური ფრონტის მთელი ძალები და ამით წვლილს შეიტანს მშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლის საქმეში. საბჭოთა კავშირი და ინდონეზია იმედოვნებენ, რომ მიუმხრობელი ქვეყნების კონფერენცია, რომელიც მალე გაიხსნება კაიროში, შეძლებს გააერთიანოს მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალები იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ შემდგომი ბრძოლისათვის და ამით ხელს შეუწყობს საერთაშორისო პრობლემების გადაჭრასა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

მხარეები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ დაძაბულობაა მსოფლიოს ზოგიერთ რაიონში, და განსაკუთრებულ უურადღებას მიაპყრობენ ვითარების გამწვავებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, რაც გამოიწვია იმპერიალისტური სახელმწიფოების ჩარევამ ამ რაიონის სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში. საბჭოთა კავშირი და ინდონეზია გმობენ იმპერიალისტური ძალების აგრესიულ საომარ მოქმედებას სამხრეთ ვიეტნამში და პროვოკაციულ საომარ მოქმედებას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, აგრეთვე რეაქციული ძალების ძირგამომთხრელ მოქმედებას ლაოსში.

ერთობლივ კომუნიკეში მხარეებმა განაცხადეს, რომ მხარს უჭერენ კვიპროსის ხალხსა და კუბელ ხალხს.

შეხვედრებისა და საუბრების დროს საბჭოთა კავშირისა და ინდონეზიის ხელმძღვანელებმა განიხილეს ორივე ქვეყნის თანამშრომლობის კიდევ უფრო გაფართოებისა და განმტკიცების საკითხები.

მხარეებმა თანხმობა განაცხადეს გადიდდეს ინდონეზიის თავდაცვისუნარიანობა იმ გზით, რომ დამატებით შეისყიდონ ალჭურვილობა. ინდონეზიის შეიარაღებული ძალებისათვის. ორივე მხარეს სურს ხელი შეუწყონ სსრ კავშირისა და ინდონეზიის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ დარგებში.

მხარეები დარწმუნებული არიან, ნათქვამია დასასრულ კომუნიკეში, რომ ინდონეზიის პრეზიდენტის დოქტორ სუკარნოს წარმატებითი ვიზიტი საბჭოთა კავშირში წვლილს შეიტანს სსრ კავშირისა და ინდონეზიის მეგობრული ურთიერთობის კიდევ უფრო განვითარებასა და განმტკიცებაში. (საკდესი).

მჭიდრო მეგობრობა

ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა დოქტორმა სუკარნომ საკდესის კორესპონდენტებს მ. გერასიმოვსა და ს. შიშკოვს, მათი თხოვნით, გაუზიარა შთაბეჭდილებანი საბჭოთა კავშირში ყოფნის შესახებ.

სსრ კავშირის დედაქალაქ მოსკოვში იმ სამი წლის მანძილზე, რომლებმაც განვლო ჩემი უკანასკნელი ჩამოსვლის შემდეგ, თქვა პრეზიდენტმა, დიდი ცვლილებები მოხდა და გაჩნდა ბევრი ახალი მშვენიერი შენობა. საბჭოთა კავშირის დედაქალაქში ყოფნის დროს კვლავ დავრწმუნდი, რომ ჩვენი ქვეყნების მეგობრობა განუწყვეტლად მტკიცდება და ფართოვდება.

განსაკუთრებით მახარებს გულთბილი და გულითადი შეხვედრები ამხანაგ ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვთან და ამხანაგ ანასტას ივანეს-ძე მიქოიანთან. დიდად მადლობელი ვარ ყურადღებისათვის, რომელსაც ისინი ჩემდამი იჩენენ. განსაკუთრებით მადლობელი ვარ იმ მიღებისათვის, რომელიც მოსკოვში გამიწიეს. ამისთვის მინდა მადლობა ვუძღვნა არა მარტო საბჭოთა მთავრობას, არამედ მთელ საბჭოთა ხალხს.

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნე, ამხანაგ ხრუშჩოვთან და ამხანაგ მიქოიანთან საუბრების დროს გამოირკვა, რომ ჩვენს სახელმწიფოებს შორის არის მჭიდრო ერთობა. ეს საფუძველს მაძლევს განვაცხადო, რომ ჩემი ვიზიტი საბჭოთა კავშირში წარმატებითი და ნაყოფიერი იყო.

შეხვედრებმა ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვთან და ანასტას ივანეს-ძე მიქოიანთან, რომლებიც თანამიმდევრული მებრძოლნი არიან იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ, — ჩემ თავს კი აგრეთვე მივაკუთვნებ ხალხთა ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლთა რიცხვს — უადრესად დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე.

ეჭვი არ მეპარება, რომ ინდონეზია და საბჭოთა კავშირი მომავალშიც ერთად ჩასცემენ ლახვარს კოლონიალიზმსა და იმპერიალიზმს, ერთად დაიცავენ ხალხთა ღირსებას და თავისუფლებას, ერთად იბრძოლებენ მშვიდობისათვის. დე ჩვენი ერთობა იყოს ამ ბრძოლის წარმატების საწინდარი.

პრეზიდენტმა სუკარნომ უსურვა საბჭოთა ხალხს ახალი დიდი წარმატებანი და ბედნიერება. (საკდესი).

საქართველო

ორმოცი პოეტის თვალით...

პირველი დღე

ბზათა ფორის უმშვენიერესია საქართველოს სამხეთრო გზა! წარმოიდგინეთ ორმოცი პოეტის თვალით დანახული ეს სილამაზე!

ზედაზნის ქედებზე მიცურავენ ღრუბლის ფთიენები. „ნისლი ფეკრია მთებისა“ — უკრაინული აკაკენტით ალაპარაკდა ვიღაცაში ვაჟი...

ორი არაგვის შესაყართან პირველყოფილი პოეტური ხელვეს ყიკინა აღმოხდა დმიტრო კოსარიკს: — ათი ჰომეროსი, ათი რუსთაველი, ათი შევჩენკო თუ დახატავდა ამ სილამაზეს!

ერთმა მთიულმა ხალხურმა მთქმელმა წაკითხა მაიაკოვსკის ირაკლი აბაშიძისეული თარგმანი:

„მე ვიცი:
უმღერდნენ
ედემს და სამოთხეს,
მაგრამ თუ
ლეკსავდნენ ოცნებით,
ალბათ
საქართველო
ედემად გამოჰყვებს,
მასზე თუ
გალობდნენ
მგოსნები“.

გუშინ ჩვენს თვალწინ დაიბადა მთიულური ლეგენდა იმაზე, თუ როგორ შეხვდა ორმოცი უკრაინელი და ქართველი პოეტი საქართველოს მთებში გაცოცხლებულ შოთა რუსთაველსა და ტარას შევჩენკოს, დავით გურამიშვილსა და ლესია უკრაინკას... აქვე, ანანურის ციხის ქედლებთან ჩაფიქრებულ მახალო სტელმახის გონებაში თუ ზედაზნის ქედებიდან არაგვის ხეობაში შთაგონებით მომზირალ ოლეს გონჩარის უბის წიგნაკში იბადებოდა ძმობის დაუწერელი წიგნის მომავალი ფურცლები...

გუშინ უკრაინელმა პოეტებმა და მწერლებმა იმოგზაურეს მარშრუტით კრწანისი-თბილისი-მცხეთა-საგურამო-ფასანაური-თბილისი.

— ეს გეოგრაფიული მარშრუტი კი არა, პოეზიაში მოგზაურობა იყო, გზა კი არა, ლირიკული პოემა იყო, — თქვა პოეტმა ოლექსა ნოვიცემ.

სტუმრებმა ნახეს თბილისის სანახები. მცხეთაში ირაკლი აბაშიძემ და გიორგი ლეონიძემ უკრაინელ თანამოკალმეებს დაათვალიერებინეს სვეტიცხოველი. ი. აბაშიძემ უამბო სტუმრებს პალესტინაში შოთა რუსთაველის პორტრეტის პოვნის შესახებ. ერეკლე მეორის საფლავთან სვეტიცხოველში იმპროვიზებული დეკლამაციით წამოცდათ ბესო ყენტს, სერგო ბილიასს, კონსტანტინე ლორთქიფანიძეს ნაწყვეტები პუშკინის ლერმონტოვის, ბარათაშვილის ლექსებიდან, რომლებიც ოქვე გაიგრძელეს უკრაინელმა პოეტებმა.

...წიწამურის გზაზე ჩერდება „ეოლგების“ წყება. უკრაინელი. და ქართველი პოეტები პატივს სცემენ საქართველოს სულიერი მამის—ილია ჭავჭავაძის ხსოვნას. ილიას მოკვლის ადგილას თალხოფერ გრანტს მუხლმოდრეკილი პირველად ბაგეს ახებს უკრაინაში დავით გურამიშვილის საფლავის მპოვნელი, ქართული კულტურის გულმართალი მეგობარი დმიტრო კოსარიკი...

ირაკლი აბაშიძე მოუთხრობს სტუმრებს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებაზე. ჩანაწერებით ივსება ი. ვირგანის, ა. იურენკოს, ი. ზბანაცკის უბის წიგნაკები...

აგერ წინამძღვრიანთ კარი... ჯანსუღ ჩარკვიანი გალაკტიონის ლექსებს უკითხავს უკრაინელ პოეტებს.

საგურამო... ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი ყვავილებითა და ღიმილით შეეგება დიდი კობზარის ქვეყნიდან მოსულ სტუმრებს. ოლექსა ნოვიცკი პოეტ კარლო კალაძეს უზიარებს მის მიერ ამ მუზეუმში ლიტერატურულ შრომაში გატარებულ დღეთა შთაბეჭდილებებს... მუზეუმის ახალ ექსპონატებს შორის არის ი. ჭავჭავაძის წიგნები უკრაინულ და რუსულ ენებზე, რომლებიც ახლახან გამოიცა კიევსა და მოსკოვში.

გიორგი ლეონიძემ უკრაინელი სტუმრები მიიწვია დავით გურამიშვილის ნასახლარის დასათვალიერებლად. როგორც ცნობილია, დავით გურამიშვილის ნასახლარი იპოვნა პოეტმა-აკადემიკოსმა ნიკო მარი. ეს ადგილი ... ...

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ივ. ჩამპი: ეს იყო, როგორც მშვენიერი ფილმი

პარიზი, 1 ოქტომბერი. (საკ. კორ.). უოლრესად აღფრთოვანებული ვარ შეხვედრით საბჭოთა კინომაყურებლებთან, საბჭოთა ადამიანებთან, თქვენს საოცარ ქვეყანასთან, თქვა საკ. ხალხის კორესპონდენტთან საუბარში კინორეჟისორმა ივ ჩამპიმ.

ავტორი საბჭოთა მზვერავის გმირობის შესახებ შექმნილი შესანიშნავი კინოსურათისა „ვინა ხართ თქვენ, დოქტორო ზორგე?", რომელსაც უჩვენებენ საბჭოთა ეკრანებზე, ახლახან დაბრუნდა მოსკოვიდან. ივ ჩამპი და მისი ცოლი, ცნობილი იაპონელი კინომსახიობი კეიკო კისი, რომელიც ფილმში ასრულებს ბარონესას როლს, აღსავსე არიან მოსკოვის შთაბეჭდილებებით. ივ ჩამპის დიდ სამუშაო კაბინეტში — სტუდიაში თვალსაჩინო ადგილას დევს მოსკოვიდა და ტბილისის სუვენირები, მრავალი ფოტოსურათი.

— მე მიმაჩნია, — ამბობს ჩამპი, — რომ გასული კვირა იყო ყველაზე ნათელი, ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემს შემოქმედებითს ბიოგრაფიაში. მერწმუნეთ, ავტორისათვის უდიდესი სიამოვნებაა იმ საზოგადოებასთან შეხვედრა, რომელსაც უყვარს და ნამდვილად ესმის კინოს ხელოვნება. მე ვფლობ ჩემს საბჭოთა კოლეგებს, რომ ასეთი მაყურებელი ჰყავს, და შევნატრი მათ.

— საბჭოთა კავშირში — მოსკოვსა და თბილისში მოგზაურობის დროს,— თქვა შემდეგ ივ ჩამპიმ, — გავიცანი კინოს მუშაკები, ვნახე, თუ რა პირობებში მუშაობენ ისინი. ჩემზე, შერეული ვარ რა მუშაობას პატარა, მარტივად მოწყობილ სტუდიებში, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა „მოსფილმმა".

— რა გაინტერესებთ ახლა, საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შემდეგ, როგორია თქვენი შემოქმედებითი გეგმები?

— დავბრუნდი საინტერესო ჩანაფიქრით, რომელიც დამებადა მოსკოვში,—უპასუხა ჩამპიმ. — მე მინდა შევქმნა ფილმი სხვადასხვა ქვეყნის ადამიანთა მეგობრობისა და ურთიერთგაგების შესახებ, ფილმი მშვიდობაზე, სიყვარულზე. როგორც ყოველთვის, პირველი ჩანაფიქრი ცოტა არ იყოს აბსტრაქტულია. ალბათ, მოქმედება იწარმოებს საბჭოთა კავშირში, საფრანგეთში, იაპონიაში... ფილმზე შუშაობისათვის მინდა მოვიწვიო საბჭოთა კინემატოგრაფისტები. ახლა ბევრს ვფიქრობ მომავალი ნაწარმოების სიუჟეტზე. როგორც კი ხორცი შეეხსმება გეგმებს, გავემგზავრები მოსკოვს, მოვეთათბირები მეგობრებსა და მომავალ თანამშრომლებს.

— აი მაშინ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს, — ეღიმება ჩამპის და დასძენს: „მოგზაურობა თქვენს ქვეყანაში იყო, როგორც მშვენიერი, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან მოკლე ფილმი"...

პირველ ოქტომბერს თბილისში მუშაობას შეუდგა პათოფიზიოლოგთა IV სრულიად საკავშირო კონფერენცია. სურათზე: კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე **გ. მჭედლიშვილი**, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ნორმალური და პათოფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი **ვ. პარინი**, აზერბაიჯანის სამედიცინო ინსტიტუტის პათოფიზიოლოგიური კათედრის გამგე **თ. ფაშაევი**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პათოფიზიოლოგიის კათედრის დოცენტი **თ. ნათაძე**, ამავე კათედრის გამგე **ი. ზაალიშვილი** და დოცენტი **ა. გელაშვილი**, მოსკოვის პათოფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში **გ. კრიჟანოვსკი** და სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **ი. პეტროვი**.

ფოტო ს. კილაძისა.

„ენისეი" გადარჩენილია

11 სექტემბერს ჩუკოტკის ზღვაში ავარია განიცადა დიზელ-ელმავალმა „ენისეიმ". გემი ტალღამ გარიყა მერეჩზე შმიდტის კონცხთან. გადმოტვირთვის დროს კენესოვან გრუნტში სწრაფად ეფლობოდა მძიმე გემი. უმედეგო გამოდგა ეკიპაჟის ყველა ცდა თავისი ძალებით მერეჩიდან გადმოეყვანა გემი.

ვეებერთელა ტალღები გემს არყევდა, გრუნტს ახეთქებდა. მწყობრიდან გამოვიდა მანქანა და სამართავი საკე. კორპუსში გაჩნდა ბზარები, ხოლო ფსკერზე — ორი უზარმაზარი ნახვრეტი, საიდანაც ტრიუმებში წყალი შეედინა.

„ენისეის" დასახმარებლად სწრაფად მოვიდა ათზე მეტი გემი. მათ შორის ყინულმჭრელი „ადმირალი მაკაროვი", № 4 ყინულმჭრელი და საშველი გემი „დიომიდე". შტორმი არ წყდებოდა. მიუხედავად ამისა „ენისეზე" გააბეს ფოლადის მაგარი გვარლები და გემიდან ნახევარ ტვირთი გადმოიტანეს, ხოლო საშველმა გემმა „დიომიდემ" და № 4 ყინულმჭრელმა ბრახნებით გაწმინდეს კენჭებისაგან 700-მეტრიანი არხი, რითაც გამოიყენეს რეიდზე „ენისეი".

მყვინთავებმა გასინჯეს გემი და დაასკვნეს, რომ გადარჩენილი გემის მეორე ფსკერი სავსებით უზრუნველყოფს ხომალდის ცურვადობას. ყინულმჭრელმა „ადმირალმა მაკაროვმა" ბუქსირზე აიყვანა „ენისეი" და კიდევ სამი გემის თანხლებით მიიყვანა იგი პროვიდენიეს ნავსადგურში. აბობოქრებულ ზღვებში ქარავანმა 450 კილომეტრი ორდღენახევარში გაიარა.

ახლა „ენისეის" ბულდასმით სინჯავენ, აკეთებენ ნახვრეტებს, რის შემდეგ მას გაგზავნიან შორეული აღმოსავლეთის ერთ-ერთ გემთშემკეთებელ ბაზაში.

მეშახტეთა ახალმოსახლეობა

სულ უფრო უმჯობესდება ტყვარჩელელ მეშახტეთა საყოფაცხოვრებო და საბინაო პირობები. ახლა აქ ფართო მასშტაბით მიმდინარეობს ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. ჯანტუსში დამთავრდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 36-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. მასში ჩასახლდა მეორე და მესამე შახტის 40-ზე მეტი მაღაროელის ოჯახი. ახალი ბინები მიიღეს მეშახტეებმა მ. ბიგვავამ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. პონომარიოვამ, ი. მელნიკოვმა და სხვებმა.

ამ დღეებში დამთავრდა აგრეთვე ოთხსართულიანი სახლების მშენებლობა დაბა კვეზასა და აკარმარაში. აქ ახალი ბინების ორდერები უკვე მიიღო მეშახტეთა, ქვანახშირის გამამდიდრებელთა და მშენებელთა 60-ზე მეტმა ოჯახმა.

ვ. ჯღარაკავა.

თევზსაშენი კოლმეურნეობაში

წყალტუბო. (საკ. კორ.). სოფელ გვიშტაბის კარლ მარქსის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შ. ჩაჩიძე) მოაწყო დიდი თევზსაშენი, რომელსაც ხუთი კვადრატული კილომეტრი ფართობი უჭირავს და ორი სექცია აქვს.

ამას წინათ თევზსაშენის პირველ სექციაში საოსტატო კობრის ლიფსიტები გაუშვეს.

7.800 კილომეტრი ველოსიპედით

ამ ოთხი თვის წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოდან ველოსიპედებით გავიდა ოთხი ახალგაზრდა: ეფრანლისტიკის განყოფილების სტუდენტები ზ. ფიფია და გ. მანია, სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტის მეხუთე კურსელები თ. ქურდიანი და ი. კვატაშიძე. მათ გადაწყვიტეს ველოსიპედებით ემოგზაურნათ ჩვენი სამშობლოს გზებზე. მათი მარშრუტი ასეთი იყო: თბილისი-ორჯონიკიძე-როსტოვი-ხარკოვი-მოსკოვი-ლენინგრადი-ტალინი-რიგა-კალინინგრადი-ვილნიუსი-მინსკი-კიევი-ლვოვი-კიშინიოვი-ოდესა-სევასტოპოლი - ყირჩი - სოხუმი-თბილისი. მგზავრობა ძნელი, მაგრამ უდავოდ საინტერესო იყო. თითქმის შუა გზიდან ენთუზიასტთა „ავარტეტს" გამოაკლდნენ თ. ქურდიანი და ი. კვატაშიძე. ზ. ფიფიამ და გ. მანიამ კი გაიარეს 7.800 კილომეტრი მანძილი და ამ დღეებში შშობლიურ ქალაქში ჩამოვიდნენ.

უნივერსიტეტის ეზოში მათ შესახვედრად შეიკრიბნენ პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, მეგობარ-ამხანაგები. მომავალმა ეფრანლისტებმა დამსწრეთ მოკლედ მოუთხრეს თავიანთ მოგზაურობასა და მიღებულ შთაბეჭდილებებზე. მათ გადაეცათ ფასიანი საჩუქრები და პირველი ხარისხის დიპლომები.

* * *

სურათზე: გ. მანია (მარცხნივ) და ზ. ფიფია.

ტექსტი და ფოტო ლ. ხერხეულიძისა.

შ. ი. ღლონტი — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ინსტიტუტის ენათმეცნიერების განყოფილების უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, დოცენტმა **შალვა იოსების-ძე ღლონტმა** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის გაერთიანებულ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„ვეფხისტყაოსნის მხატვრული ენის საკითხები".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა შ. ღლონტისათვის ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ეფხვედრა ვეტერანებთან

ბათუმი. (საკ. კორ.). ამას წინათ თბომავალი „აფხაზეთმა" ბათუმში ჩამოიყვანა ტურისტთა დიდი ჯგუფი. მათ შორის იყვნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის მაგდებურგის ოლქის ვეტერანები.

მათ დაათვალიერეს ბათუმის ღირსშესანიშნავი ადგილები. სტუმრები იყვნენ რეგიონალის სახელმწიფო მუზეუმში, სადაც შეხვდნენ ბათუმში მცხოვრებ ვეტერან რევოლუციონერებს.

თავიანთი ცხოვრების ზოგიერთ ეპიზოდზე დამსწრეთ მოუთხრეს გერმანელმა კომუნისტებმა ვილი შტაიმმა, ჰერბერტ ვიტენბერგმა, თეოდორ კლიუკმა, ვაინცელ გობმა, გერმან ბოიმმა, რომელებსაც ადრე უმუშავნიათ კლარა ცეტკინთან, ერნსტ ტელმანთან, როზა ლუქსემბურგთან და კარლ ლიებკნეხტთან.

წინ არის ახალი პერსპექტივები

მუშაობა დაამთავრა სრულიად საკავშირო სიმპოზიუმმა ტალღების დიფრაქციის საკითხებზე

თბილისში მუშაობა დაამთავრა მესამე სრულიად საკავშირო სიმპოზიუმმა ტალღების დიფრაქციის საკითხებზე, რაც თანამედროვე ფიზიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი დარგია. სიმპოზიუმზე გაიმართა აზრთა ფართო გაზიარება მათემატიკოსებს, ფიზიკოსებსა და ინჟინრებს შორის იმ ამოცანების გადაწყვეტის ზოგადი პრობლემებისა და მეთოდების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა ფიზიკური ბუნების ტალღოვანი პროცესების შესწავლის დროს წარმოიშობა.

მეცნიერთა კვლევის შედეგებს ფართოდ იყენებენ ისეთ დარგებში, როგორიც არის რადიოელექტრონიკა, ფიზიკა, პლაზმები, აკუსტიკა, ისინი აიარაღებენ თანამედროვე ტექნიკას ახალი მეთოდებით. თავის მხრივ მათემატიკოს-თეორეტიკოსთა წინაშე სიმპოზიუმზე დაისახა ახალი ამოცანები, რომლებსაც პრაქტიკა ყენებს.

შეკრებილებმა განიხილეს კვაზიოპტიკის, პლაზმის ელექტროდინამიკის, არაერთგვაროვან გარემოში ტალღების გავრცელების საკითხები და თანამედროვე ტექნიკისა და გამოყენებითი ქიმიის განვითარების სხვა პრობლემები.

სიმპოზიუმზე პირველად არის განხილული ახალი გამოკვლევები მათემატიკური მეთოდების, კერძოდ გამოთვლითი მეთოდების განვითარების დარგში, დიფრაქციის თეორიაში. სიმპოზიუმის მონაწილეებმა დასახეს მთავარი მიმართულებანი მეცნიერული კვლევისა ამ დარგში უახლესი წლებისათვის და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა ელექტრონული ტექნიკის უფრო ფართოდ გამოყენება დიფრაქციული ამოცანების გადასაწყვეტად.

შემდეგი მეოთხე სრულიად საკავშირო სიმპოზიუმი ტალღების დიფრაქციის საკითხებზე გადაწყვეტილია მოეწყოს ხარკოვში 1967 წელს.

სიმპოზიუმმა ხელი შეუწყო დიფრაქციის თეორიისა და მათემატიკის დაახლოებას. (საქდესი).

„ენისეი" გადარჩენილია

11 სექტემბერს ჩუკოტკის ზღვაში ავარია განიცადა დიზელ-ელმავალმა „ენისეიმ". გემი ტალღამ გარიყა მერეჩზე შმიდტის კონცხთან. გადმოტვირთვის დროს კენესოვან გრუნტში სწრაფად ეფლობოდა მძიმე გემი. უმედეგო გამოდგა ეკიპაჟის ყველა ცდა თავისი ძალებით მერეჩიდან გადმოეყვანა გემი.

ვეებერთელა ტალღები გემს არყევდა, გრუნტს ახეთქებდა. მწყობრიდან გამოვიდა მანქანა და სამართავი საკე. კორპუსში გაჩნდა ბზარები, ხოლო ფსკერზე — ორი უზარმაზარი ნახვრეტი, საიდანაც ტრიუმებში წყალი შეედინა.

„ენისეის" დასახმარებლად სწრაფად მოვიდა ათზე მეტი გემი. მათ შორის ყინულმჭრელი „ადმირალი მაკაროვი", № 4 ყინულმჭრელი და საშველი გემი „დიომიდე". შტორმი არ წყდებოდა. მიუხედავად ამისა „ენისეზე" გააბეს ფოლადის მაგარი გვარლები და გემიდან ნახევარ ტვირთი გადმოიტანეს, ხოლო საშველმა გემმა „დიომიდემ" და № 4 ყინულმჭრელმა ბრახნებით გაწმინდეს კენჭებისაგან 700-მეტრიანი არხი, რითაც გამოიყენეს რეიდზე „ენისეი".

მყვინთავებმა გასინჯეს გემი და დაასკვნეს, რომ გადარჩენილი გემის მეორე ფსკერი სავსებით უზრუნველყოფს ხომალდის ცურვადობას. ყინულმჭრელმა „ადმირალმა მაკაროვმა" ბუქსირზე აიყვანა „ენისეი" და კიდევ სამი გემის თანხლებით მიიყვანა იგი პროვიდენიეს ნავსადგურში. აბობოქრებულ ზღვებში ქარავანმა 450 კილომეტრი ორდღენახევარში გაიარა.

ახლა „ენისეის" ბულდასმით სინჯავენ, აკეთებენ ნახვრეტებს, რის შემდეგ მას გაგზავნიან შორეული აღმოსავლეთის ერთ-ერთ გემთშემკეთებელ ბაზაში.

ამინდი

სიცივის შემოჭრა

ჩრდილოეთი ნახევარსფეროს ბევრ რაიონში უკვე გვიანი შემოდგომაა, ხოლო აქა-იქ ზამთარიც დადგა. კანადის არქიპელაგის კუნძულებზე დღისითაც კი ტემპერატურა ნულზე დაბლაა, დაიწყო თოვა და ქარბუქი. გრენლანდიის ჩრდილოეთ ნაწილში ყინვები 20-24 გრადუსს აღწევს. ცივა კანადის მთელ რიგ რაიონებშიც. აქ ღამით ყინვები 6-8 გრადუსს აღწევს. მხოლოდ დღისით ტემპერატურა პლუს 1-3 გრადუსამდე აიწევს ხოლმე.

ჩრდილოეთის ქარებთან ერთად სიცივემ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც შეაღწია. ცენტრალურ შტატებში აცივდა პლუს 12-14 გრადუსამდე. მაგრამ ყველაზე სამხრეთ შტატებში ჯერ კიდევ თბილა — 25-27 გრადუსი სითბოა.

. განსაკუთრებით ადგილ-ადგილ ტემპერატურამ 14-16 გრადუსამდე დაიწია საფრანგეთის აღმოსავლეთ ნაწილში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. პირველი თოვლი მოვიდა პრაღაში. ჩეხოსლოვაკიის აღმოსავლეთ ნაწილში კი მაღალი ტატრების თოვლის ფენამ 60-70 სანტიმეტრს მიაღწია. აცივდა ბულგარეთში. თეთრი ქუდებით დაიფარა მთების მწვერვალები ჩრდილოეთ საბერძნეთში. აქ 30 გრადუსი სიცხე ცივმა ამინდმა შეცვალა. ადგილ-ადგილ ტემპერატურამ პლუს 5 გრადუსამდე დაიწია.

ცივი ჰაერი უფრო შორსაც გაექანა სამხრეთისაკენ — ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. განსაკუთრებით მძაფრი იყო მისი შეჭრა თურქეთის რაიონებში. 24 სექტემბრის ძლიერმა გრიგალმა გადაუარა სტამბოლს. თურქეთის 5200 ტონა წყალწყვის გემი ტალღებმა ბოსფორის ნაპირზე გამოაგდო. ქარიშხლის შემდეგ თურქეთის თავს დაატყდა კოკისპირული წვიმები. ძლიერმა წვიმებმა გადაიარა ბულგარეთშიც.

დასავლეთ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში სიცივის ეს შემოჭრა ხანგრძლივი არ იყო. კვირის უკანასკნელ დღეებში მას გზა ჩადუჭრა ატლანტიკის ჩრდილოეთ რაიონებში შემოსულმა ციკლონმა.

ჩრდილოეთის ქარები დასავლეთისაკენ შეცვლა. მათ დიდი წვიმები მოიტანეს ინგლისსა და სკანდინავიის ქვეყნებში. არქტიკული ჰაერი შემოიჭრა ბალტიკის ზღვისა და ბალტიისპირეთის ზემოთ. ეს ამინდი ბალტიკის ზღვაზე ბევრ ნავსადგურ ... ...